ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6706837

ნომერი: AR1993745

თარიღი : 05.10.2023

გაცემის თარიღი : 12.10.2023

გაცნობის თარიღი : 13.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ასმათის ქუჩა N23-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიქტორ მარგველაშვილი პ/ნ 01001024459
- თბილისი გლდანი III მ/რ კორ. 1 ბ. 98

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 05 ოქტომბერს №AR1993745 განცხადებით მომართა ვიქტორ მარგველაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანებით, №:01.72.14.036.802 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2023 წლის 01 სექტემბრის №6643634 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 19 სექტემბრიდან 2026 წლის 19 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეორე რიგის მე-3 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა დაფიქსირება. კერძოდ, გამორჩენილია მე-4 ეტაპის - „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა; შენობა-ნაგებობის +3.00 ნიშნულიდან +6.20 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი“. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, 2023 წლის 07 სექტემბრის №AR1988537 განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის კალენდარული გრაფიკის მიხედვით, სამუშაოები შესრულებულია მეორე რიგის მე-3 ეტაპის ჩათვლით. ასევე, ამავე განცხადებაზე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებით დგინდება რომ შენობა-ნაგებობის +3.00 ნიშნულიდან +6.20 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი დასრულებული არ არის.
შესაბამისად, სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში შესასრულებელ ეტაპად ასევე უნდა დაფიქსირებულიყო მეორე რიგის მე-4 ეტაპიც, თუმცა ტექნიკური შეცდომის გამო აღნიშნული ეტაპები ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურმა დაადგინა რომ ბრძანებაში მშენებლობის მეორე რიგის მე-4 ეტაპის დამატება გამოიწვევს მშენებლობის ვადის ცვლილებასაც და „2023 წლის 19 სექტემბრიდან 2025 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით“ ნაცვლად იქნება „2023 წლის 19 სექტემბრიდან 2026 წლის 19 იანვრის ჩათვლით“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანებაში და:

1.1 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 19 სექტემბრიდან 2026 წლის 19 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.“.

1.2 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში, მე-5 ეტაპის წინ დაემატოს მე-4 ეტაპი შემდეგი რედაქციით: „4. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა; შენობა-ნაგებობის +3.00 ნიშნულიდან +6.20 ნიშნულის რკინა ბეტონის ძირითადი კონსტრუქციების მონტაჟი“.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 სექტემბრის №6661076 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.